# ქართულ კულტურას სხვა პატრონი არ ეყოლება

უპირველესად ყურადღება მინდა მივაქციო ცნებას "განათლება", რომელიც წარმოდგება სიტყვისაგან "ნათელი", მასვე უკავშირდება, აგრეთვე, ნათლისღება; ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან განათლება სულიერი განვითარების აუცილებელი კომპონენტია, საშუალებაა, განათლება სულის აღორძინებას უნდა ემსახურებოდეს. განათლების მიღება ადამიანის სულიერი მოთხოვნილება უნდა იყოს. ამ პოზიციიდან უნდა განვსაზღვროთ განათლების მიღების მნიშვნელობაც. დღევანდელ საქართველოში დიდია სწრაფვა უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, რასაც ფასიანი ინსტიტუტების სიმრავლე ადასტურებს; რომ არ იყოს მსურველი, ინსტიტუტიც არ იარსებებდა. მაგრამ საკითხავია, რამდენად საჭირო და აუცილებელია ამდენი ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის არსებობა? უმაღლესი განათლების მიღება ლამის სავალდებულოდ იქცა. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ უმაღლესი განათლების მიღება საყოველთაო არ უნდა იყოს. იგი მხოლოდ იმათი ხვედრი უნდა იყოს, ვინც იმსახურებს, ვინც ცოდნის შესაფერის დონეს გამოამჟღავნებს. განზოგადება ძნელია, მაგრამ დღევანდელ უმაღლესდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი მხოლოდ დიპლომს იღებს, ცოდნას კი - არა. თანამედროვე ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი არაპროფესიონალია. მახსოვს, ერთ-ერთ ფასიან პედაგოგიურ ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდაზე ერთმა სახელოვანმა პროფესორმა კურსდამთავრებულებს ურჩია, სკოლაში სამუშაოდ არ წასულიყვნენ... არ წახვიდეთო. რატომ? მე მგონი, კომენტარი სრულიად ზედმეტია. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ყველა უმაღლესდამთავრებული დაბალი დონისაა. მე მხოლოდ იმას მინდა მივაქციო ყურადღება, რომ ხვალინდელ საქართველოს ასეთი სპეციალისტები არ გამოადგება. მიუხედავად ზემოთქმულისა, ასე მომრავლებულ უმაღლესდამთავრებულთა მომავალს მაინც იმედით უნდა შევხედოთ, მათ თავიანთი შვილებისთვის მაინც შეეძლებათ მცირეოდენი ინტერესის გაღვივება წიგნის მიმართ, ცოდნის შეძენის მიმართ. ისე კი, მსოფლიოში არ მეგულება სხვა ქვეყანა, სადაც ამდენი უმაღლესი სასწავლებელი იყოს და რომელსაც ამდენი არაკვალიფიციური სპეციალისტი ჰყავდეს. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ილია ჭავჭავაძე ათიოდე კარგ ინჟინერს ნატრობდა, მაშინაც საკმაოდ იყვნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ჩვენში, მაგრამ "უკეთესნი და საქმის მცოდნენი" - ნაკლებად. არ მინდა პესიმისტური აზრი გამოვთქვა, მაგრამ დღევანდელი ყოფა ჩვენი ქვეყნისა ჩვენც გვანატრებინებს კარგ სპეციალისტს, მაღალი ზნეობისა და სულიერად მდიდარ პიროვნებას, რომლისთვისაც ერის ინტერესები იქნება გადამწყვეტი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე არ იზრუნებს. დღეს ოღონდაც დიპლომი მიიღონ და ცოდნის, განათლების დონეს არად მიიჩნევენ. სამწუხაროდ, ხშირად გვავიწყდება რუსთაველის სიტყვები: "რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს, კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს, არცა სხვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს".

განათლების ხარისხს საშუალო სკოლების სწავლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა დონე განაპირობებს. როგორიცაა მასწავლებელი, ძირითადად, ისეთივეა მისი მოსწავლე თუ სტუდენტი. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არსებობს, მაგრამ იგი არაა განმსაზღვრელი. ვინ უნდა ასწავლოს უმაღლეს სასწავლებელში? ისეთმა პიროვნებამ, რომელიც არა მხოლოდ ცოდნითა და განათლებით იქნება გამორჩეული, იგი უნდა იყოს პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული, ეს ნიჭი მე ადამიანში ხელოვნების ერთ-ერთ გამოვლინებად მიმაჩნია. უნდა იყოს უკომპრომისო და ძლიერი, ზნეობრივად შეურყეველი. იქნებ, ეს არც იყოს საჭიროდ გამოსატანი, მაგრამ ვერასოდეს შევეგუები ღებ-მიცემობას განათლების სფეროში. მჯერა, რომ ამგვარი ფაქტი იშვიათია, მაგრამ ხომ არის. გაჭირვებამ ადამიანს ზნეობაზე არ უნდა აალებინოს ხელი. რა უნდა ისწავლოს სტუდენტმა ისეთი ლექტორისგან, ვინც გამოსარჩენს მოელის ჩათვლაზე ან გამოცდაზე მოსული ახალგაზრდისგან? მხოლოდ ამგვარი პროფესორ-მასწავლებლები რომ გვყავდნენ, ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთები ცოტანი არიან. სასწავლო პროცესი რთულია, ყველაფერს ექცევა ყურადღება, სასწავლო შენობას, აუდიტორიას, მერხს, მაგიდას, სკამს, და რაც მთავარია, მასწავლებლის ზნეობრივ და გარეგნულ სახეს. მიმაჩნია, რომ უმაღლესი სკოლის პედაგოგი ყოველმხრივ ჰარმონიული უნდა იყოს. განსაკუთრებულ როლს ასრულებს პედაგოგთა შერჩევისას კათედრის გამგე, დეკანი, რექტორი. ხდება ისე, რომ ღირსეული პედაგოგი გარბის უმაღლესი სასწავლებლიდან იმის გამო, რომ მას არა აქვს მათგან ხელშეწყობა. ხშირად ყურადღება ფორმალურ მხარეზეა გადატანილი, არსებითი კი მეორეხარისხოვნადაა მიჩნეული. მოსაწესრიგებელია თაობათა ცვლა, იგი უმტკივნეულო უნდა იყოს.

ლექტორის ყველაზე უკეთესი შემფასებელი სტუდენტია. მაგრამ იგი ვერ მისცემს მას ლიცენზიას, ასწავლოს თუ არა უმაღლეს სასწავლებელში.

უმაღლესი განათლების სფეროში პროფესორ-მასწავლებელთა ცოდნის და მათი პედაგოგიური მოღვაწეობის, სწავლების სტანდარტები, მართალია, არსებობს, მაგრამ უნივერსალური არ არის. ამ სტანდარტების შექმნას და განხორციელებას სპეციფიკური მიდგომა სჭირდება. მას სახელმწიფო უნდა აწესრიგებდეს, კანონებით - იურიდიული კანონებითა და ზნეობრივი პრინციპებით უნდა იყოს მოწესრიგებული. პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიციურობის დადგენა ძნელი არ არის, მაგრამ არაკვალიფიციური სპეციალისტის გაშვება ძნელია, რადგან ასეთ დროს წინა პლანზე წამოიწევს ხოლმე ზნეობრივი მომენტი, ვინაიდან შეიძლება სრულიად უსახსროდ დარჩეს ინსტიტუტიდან წასული მასწავლებელი. არადა, მის დარჩენას ინსტიტუტში დადებითი შედეგი არ მოჰყვება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ობიექტური ატესტაცია. ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ მეტყველებასაც, გადაცემის უნარს.

მისაღები გამოცდები [illegible] რთული პრობლემაა. [illegible] ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ფორმებს. ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ ჰუმანიტარულ სპეციალობებზე ზეპირი გამოცდის ამოღება გაუმართლებლად მიმაჩნია. ზეპირ გამოცდაზე უკეთ მჟღავნდება გამოსაცდელის აზროვნების უნარი, შეიძლება მან არ იცოდეს ფაქტები, მაგრამ შეეძლოს ანალიზი. ჩვენთვის ხომ მთავარი ის უნდა იყოს, განვსაზღვროთ, როგორი პიროვნება დგას საგამოცდო ბილეთის აღებისას ჩვენს წინ. წერით გამოცდაზე პირადი კონტაქტის საშუალება არ არის. ეს კი აუცილებელია. ახლა წერითი გამოცდის შესახებ. მიუღებლად მიმაჩნია ამჟამად მოქმედი წესი, რომელიც ე.წ. "ტესტურ" გამოცდას ითვალისწინებს. ჩვენ, ქართველებს, გვიყვარს უცხო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება და გადმოღება, მაგრამ გვავიწყდება სწავლებისა და სწავლისადმი ჩვენი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ტესტური გამოცდა თუ დასაშვებია ზუსტ მეცნიერებებში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში იგი მართებული არ არის. თხზულების წერაში გაწაფვა ევროპული განათლების სისტემის ერთ-ერთი საფუძველია. თხზულების წერისას წარმოჩინდება მოსწავლის ან აბიტურიენტის ცოდნა, ლიტერატურული ალღო და გემოვნება. "ტესტური" გამოცდა ცოდნის მინიმუმის შემოწმების საშუალებაა, მაგრამ აზროვნების შესაძლებლობათა დასადგენად იგი ვერ გამოდგება. ამიტომ კარგი იქნებოდა წერითი გამოცდის ორ ეტაპად ჩატარება: ჯერ "ტესტურ" გამოცდაზე გამომჟღავნდეს აბიტურიენტის ცოდნის მინიმუმი, ხოლო შემდეგ თხზულების წერისას დადგინდეს აზროვნების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ რთული იქნება და მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს, სამაგიეროდ, იგი აბიტურიენტის შემოქმედებით შესაძლებლობებს უკეთ გამოავლენს. როგორ და როდის უნდა გასწორდეს ნაწერები? სწორედ ეს არის ყველაზე საპასუხისმგებლო საკითხი მისაღები გამოცდების ჩატარებისას. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა ნაშრომის გასწორება აბიტურიენტის თანდასწრებით, ამ დროს გამომცდელს საშუალება ეძლევა უკეთ გაეცნოს აბიტურიენტს. დაშვებული შეცდომები უნებლიეა თუ უცოდინარობის შედეგი. ამას აქვს მნიშვნელობა გამოცდაზე.

თხზულების წინააღმდეგ გამოცხადებულმა ე.წ. "ლაშქრობამ" მძიმე შედეგი გამოიღო. მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა ფიქტიურად იქცა. საქართველოში ქართული ენა კონსტიტუციურად არის სახელმწიფო ენა, მაშასადამე, გამოცდაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს. ვფიქრობ, თუ ამ გადასახედიდან დავაკვირდებით მისაღები გამოცდის ფორმებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, შევნიშნავთ, რომ ამჟამად არსებული წესი დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. დავაკვირდეთ, როგორ მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი, როგორ მომრავლებულა მათ მეტყველებაში სლენგი, როგორ გაღარიბებულა ლექსიკა, ქართულად ველარ აზ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

მე-7 გვერდიდან

# ქართულ კულტურას სხვა პატრონი არ ეყოლება



როვნებენ, დღეს, როდესაც კაცობრიობის სულიერი მომავალი გადაგვარების საფრთხის წინაშე დგას, მომავალი თაობა სწორედ ესთეტიკურმა აღზრდამ უნდა გადაარჩინოს. "ტესტური" გამოცდის მიხედვით აბიტურიენტის პასუხი მხოლოდ ინფორმაციულია; გარდა ამისა, ბავშვს შეიძლება არ გაახსენდეს მეორეხარისხოვანი პერსონაჟის სახელი ან მასთან დაკავშირებული უმნიშვნელო ეპიზოდი, მაგრამ გასაანალიზებელი მასალა კარგად გამოიყენოს და გამოჩნდეს მისი აზროვნების სტილი, შესაძლებლობები. ასეთ შემთხვევაში მას ერთი საკითხის ჩავარდნის გამო ნიშანი უთუოდ დააკლდება. განა ეს სწორი იქნება? მეორე მხარეცაა გასათვალისწინებელი: როდესაც აბიტურიენტი "ტესტურად" აბარებს გამოცდას, მას არჩევანის საშუალება არა აქვს, ხოლო როდესაც თხზულება უნდა დაწეროს, მას ღვთით ბოძებული არჩევანის საშუალება ეძლევა. რატომ უნდა წავართვათ ჩვენ, ადამიანებმა, გამომცდელებმა, მას ღმერთისგან ბოძებული უფლება არჩევანისა? ერთსაც ვიტყოდი, თხზულების წერა შემოქმედებითი პროცესია, მხედველობაში ამ ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები მყავს, გამომცდელს შეუძლია თვალი გაადევნოს ამ პროცესს, როგორ ფიქრობს, როგორ აზროვნებს, როგორ იწვის შემოქმედებითად გამოცდაზე მყოფი ახალგაზრდა. "ტესტური" გამოცდისას მან სამ საკითხს უნდა უპასუხოს, სამ განსხვავებულ პრობლემაზე უნდა იფიქროს, ეყოფა გამოცდისთვის მიცემული ოთხი საათი ამისთვის? შეიძლება შემოქმედებითი უნარი გამოამჟღავნოს ასეთ დროს აბიტურიენტმა? წარმოიდგინოთ საკუთარი თავი ამგვარ გამოცდაზე! თხზულების წერისას აბიტურიენტი მთლიან ნაწარმოებს აანალიზებს, ან მასზე დაყრდნობით წერს თემას. "ტესტირებული" გამოცდისას ყურადღება მეორეხარისხოვან საკითხზე გადადის, აბიტურიენტი ცდილობს, არ გამორჩეს რომელიმე დეტალი და არსებითი, მნიშვნელოვანი კი უყურადღებოდ შეიძლება დარჩეს. უკვე კარგა ხანია, რაც თხზულებას აღარ წერენ მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტები და ეს უკვე დაეტყო ჩვენს ახალგაზრდობას. წიგნისადმი, მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესმა იკლო; ეს იმიტომ, რომ მას უკვე აღარ სჭირდება კითხვა, რაც ფართო განათლების საწინდარია. "ტესტური" გამოცდა არ მოითხოვს ღრმა და ფართო განათლებას, აბიტურიენტმა მხოლოდ ის ტექსტები უნდა იცოდეს, რომლებიც საგამოცდო პროგრამაშია შეტანილი. ფართო განათლებას თხზულების წერა მოითხოვს, აბიტურიენტს ანალიზისას მხოლოდ მითითებული ნაწარმოების შინაარსის ცოდნა არ ეყოფა, მან მასშტაბურად უნდა შეხედოს დასმულ პრობლემას და, შესაძლოა, არაპროგრამული ნაწარმოებების გამოყენებაც დასჭირდეს. "ტესტური" გამოცდა ზუსტი მეცნიერებების გამოცდის პრინციპზეა აგებული და ენასა და ლიტერატურაში გამოცდისთვის ოპტიმალური ნამდვილად არ არის. გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში უნდა ავლენდეს აბიტურიენტის ლიტერატურულ გემოვნებას, ნიჭიერებას, ესთეტიკურ აღქმას, გონებრივ თვალსაწიერს. ასეთად გამოცდაზე თხზულების წერას მიიჩნევს. "ტესტური" გამოცდა კი ძირითადად საშუალო ნიჭისა და დონის მოზეპირე აბიტურიენტებისთვისაა სასარგებლო. ფაქტი ერთია, თხზულებაზე უარის თქმამ დასცა ჩვენი ახალგაზრდობის ჰუმანიტარული განათლების დონე, დაამკვიდრა პრაგმატიზმი.

აქვე მნიშვნელოვანი საკითხიც წამოიწევს, რამდენად არის გავრცელებული მისაღებ გამოცდებზე კორუფცია და შეიძლება თუ არა მისი თავიდან აცილება. დასამალი არაფერია, მისაღებ გამოცდებზე კორუფცია ყველა უმაღლეს სასწავლებელში მეტნაკლებად არის გავრცელებული. რა იწვევს მას? ეს მწვავე სოციალური მოვლენაა. მოდის ზაფხული და საზოგადოების ერთი ნაწილი იწყებს გამოცდებით არსებობას, ცხოვრებას, იწყება ყოველად შეუწყნარებელი ვაჭრობა. არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ არც იმის დამალვა შეიძლება, რომ მისაღებ გამოცდებში მონაწილეთა ნაწილი შეკრულნი არიან, ვითარცა ერთ სულ და ერთ ხორც და ერთიანად მოქმედებენ. ამაზე აღარ გავაგრძელებ სიტყვას, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ კორუფციის თავიდან ასაცილებლად რამდენიმე საშუალება შეიძლება მოიძებნოს. ერთს ასე ჩამოვაყალიბებდი: ამჟამად არსებული წესის მიხედვით, საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეები, წევრები ირჩევიან სამ-სამი წლით, ერთი საგნობრივი კომისია მუშაობს ყველა სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებში. ჩემი აზრით, გაუმართლებელია მიმღები კომისიის საგნობრივი საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების თუნდაც სამი წლით არჩევა თუ მიწვევა. ისინი ყოველწლიურად უნდა იცვლებოდნენ. იმასაც კი ვიტყოდი, რომ სხვადასხვა სპეციალობაზე სხვადასხვა პირებისგან შემდგარი კომისიები იყოს, ეს თავმჯდომარეებისა და წევრების ზედმეტ "პოპულარობასაც" აგვაცილებდა და, ამავე დროს, არც გამომცდელთა გადაღლის საფუძველს შექმნიდა. ცხადია, მისაღები გამოცდების ობიექტურობა და არაკორუფციულობა კომისიის წევრთა ზნეობრივ სახეზე დიდადაა დამოკიდებული. ამდენად, მიმღები და საგამოცდო კომისიების სწორი შერჩევა და შედგენა განსაზღვრავს არაკორუფციულობას. ეს კი ძირითადად რექტორებისა და საგნობრივი საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეების პრეროგატივაა.

რაც შეეხება ფასიან უმაღლეს სასწავლებლებს, იქ დამკვიდრებული წესები სტუდენტთა შევსებისა ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. აბიტურიენტები ან საერთოდ არ აბარებენ მისაღებ გამოცდებს და ფორმალური გასაუბრებით ირიცხებიან, ან მისაღები გამოცდები უმარტივეს დონეზე ტარდება. ეს ყველაფერი კი ჩვენვე დაგვიბრუნდება ცუდად, რადგან არ გვეყოლებიან პროფესიონალები.

უმაღლესი სასწავლებლების ლიცენზირება უცხოეთშიც ხდება და ჩვენშიც. ლიცენზირების სისტემა ჩვენში დახვეწას მოითხოვს. საამისოდ აუცილებელია განათლების კანონის ამოქმედება. ლიცენზირება აუცილებლად უნდა ხდებოდეს, რადგან კერძო ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, ვგულისხმობ საუკეთესო ნაწილს, უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენისა.

ლიცენზირების საკითხის განხილვისას ერთი მტკივნეული საკითხი წამოიჭრება, როგორ ხდება კერძო სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებელთა დაკომპლექტება, ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი.

ამასვე უკავშირდება საკრედიტაციო საბჭოს საქმიანობა, რომლის წევრები ძირითადად, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები არიან. საბჭოს ფუნქცია ისაა, რომ შეამოწმოს სახელმწიფო თუ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესი, პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადების დონე და კურსდამთავრებულთა ცოდნა. ამ პრობლემას ნაკლებად ვიცნობ და ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რამდენად გამართლებულია ეს სისტემა, როგორ მოქმედებს იგი. როგორც ვხედავთ, მუშაობს ლიცენზირების სისტემა, საკრედიტაციო საბჭო, მაგრამ სწავლების დონე, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, საკმარისი არ არის. ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი სათანადო ბაზის უქონლობაა. ყოველ ინსტიტუტს, ვგულისხმობ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა, თვალსაჩინოების სხვა საშუალებები. იშვიათია ასეთი სასწავლებელი; სტუდენტს სახელმძღვანელო თუ არ ექნება, მხოლოდ ლექციების მოსმენით ვერ დაეუფლება საგანს. საკმაოდ მწვავედ დგას სახელმძღვანელოების პრობლემაც, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ, ეკონომიკისა და იურისპრუდენციის სპეციალობებზე, რადგან ადრე ძველი სახელმძღვანელოები იდეოლოგიზებული იყო. ცხადია, მოძველებული სახელმძღვანელო, თუნდაც ათი წლის წინ დაწერილი და გამოცემული, დღეს უვარგისია. განათლების სამინისტროში მუშაობენ სახელმძღვანელოების შექმნის საკითხებზე. იქმნება კიდეც ახალი ტიპის სახელმძღვანელოები, მაგრამ უფრო სწრაფი მოქმედებაა საჭირო. ცნობილია, რომ სახელმძღვანელოები 20-25 წლის განმავლობაში არ იცვლება, რეალურად კი ყოველ სახელმძღვანელოს თითქმის 2-3 წელიწადში სჭირდება შევსება, განახლება. სირთულე გამოცემაშიცაა. ეს ყველაფერი განათლების კანონმა უნდა დაარეგულიროს.

უკვე შევეხე სახელმძღვანელოების საკითხს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში მიღებული განათლება რომ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე იყოს, აუცილებელია სათანადო ბაზის შექმნა, როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, მაგ. შენობა, აუდიტორიის მოწყობა, აპარატურა, ისე მაღალი დონის სახელმძღვანელოების მომზადება და მიწოდება. დღეს უკვე შეუძლებელია უკომპიუტეროდ მუშაობა, ყველა სტუდენტმა უნდა იცოდეს იგი და თავის დარგში ინტერნეტის გამოყენება შეეძლოს. წლობით კი არა, საათობით იცვლება ინფორმაციები და მათი მიღების, მათზე სწრაფი რეაგირების საშუალებას კომპიუტერი იძლევა. კომპიუტერი ფუფუნების საგანი არაა, აუცილებელია იმისთვის, რომ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მიიღოს უმაღლესი განათლება სტუდენტმა.

უმაღლესი განათლების მაღალი დონის მისაღწევად ერთ-ერთ აუცილებელ პირობად კონკურენცია მიმაჩნია. კონკურენცია პროფესორ-მასწავლებლებისა და კონკურენცია თვით სტუდენტებისა, ოღონდ ორივე შემთხვევაში, ყოველგვარი მიკერძოებისა და ანგარების გარეშე.

აგრეთვე, საჭირო და აუცილებელი უნდა იყოს სტუდენტობიდანვე აქტიური საქმიანობა არჩეულ სფეროში. იგი თეორიულ ცოდნას პრაქტიკულად უნდა იყენებდეს, ეს პირველი კურსიდანვე უნდა დაიწყოს.

რამდენიმე წელია უკვე, რაც ჩვენს უმაღლეს სკოლებში მოქმედებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტრუქტურა, მათემატიკურად 4+2. არსისა და მიზანდასახულობის შესახებ ყურადღებას არ შევაჩერებ, იგი ყველასთვის ცნობილია. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რამდენად გამართლებულია და რამდენად ამართლებს იგი, ან ხომ არ საჭიროებს დახვეწას. ჩემი აზრით, დახვეწას უთუოდ მოითხოვს არსებული წესი. ამ სისტემის შემოღებამდე ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მიღების კურსი არსებობდა. მართალია, რამდენიმე ზედმეტი საგანი ისწავლებოდა, მაგრამ ძირითადი, სპეციალობის შესაძენი საგნები ხუთ წელზე იყო განაწილებული. ახალი სისტემის შემოღებამ ამ საგანთა 4 წელზე გადანაწილება გამოიწვია, ე.ი. ნაკლები დრო ეთმობა საგნის შესწავლას, ან საერთოდ ამოვარდა ზოგიერთი აუცილებელი საგანი. არა მგონია, რომელიმე მეთოდი სწორი იყოს. ვფიქრობ, ბაკალავრიატისთვის ისევ 5 წლის დატოვება აჯობებდა, რაც უფრო სრულყოფილი ცოდნის შეძენის საშუალებას მისცემდა სტუდენტს. რაც შეეხება მაგისტრატურას, იგი აუცილებელია, რადგან აქ კონკრეტულ სფეროში უნდა დასპეციალდეს ახალგაზრდა. ზემოხსენებული მათემატიკური მოდელი 4+2 მექანიკურად არ უნდა შეიცვალოს. ჩემი აზრით, მართებული იქნება 4 კურსის დამთავრების შემდეგ მაგისტრატურაში შესვლის მსურველებისთვის მოეწყოს გამოცდა-გასაუბრება, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ - [illegible] სწავლას მაგისტრატურაში, ხოლო ვისაც არ სურს ან არ შეუძლია სამაგისტრატურაში სწავლა, ან ვერ გაიარა სამაგისტრატურო გამოცდა-გასაუბრებები, კვლავ ბაკალავრიატში გააგრძელოს სწავლა ერთი წლით, ანუ მეხუთე კურსზე, რაც ბაკალავრიატის სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს, ჩამოყალიბდეს უკეთეს სპეციალისტად.

როდესაც საქმე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსებას ეხება, კერძო სასწავლებელი ისედაც შემოსავლით არსებობს და იქ სახელმწიფო არაფერს აფინანსებს, უნდა იყოს გათვალისწინებული პრიორიტეტული დარგები, ე.ი. ის დარგები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისთვის. აქვე კითხვა დაისმის, რომელი მიმართულება, რომელი დარგი უნდა ვაღიაროთ პრიორიტეტად? უკვე ვახსენე, ის დარგები, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფის მოწესრიგებაში, ერის სულიერი განვითარებისთვის, ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობის გამოსწორებაში, ქვეყნის აღმშენებლობაში. მე მგონი, გამოყოფა პირს კიდეც. შევჩერდები ჰუმანიტარული დარგების განვითარების აუცილებლობაზე. ერის სულიერ განვითარებასა და დახვეწას მეცნიერება და ხელოვნება წარმართავს. სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე "მამულიშვილების" ნაწილი თავის ძალისხმევას მხოლოდ "მსოფლიო სტანდარტების" დონის მისაღწევად წარმართავს და ჩვენი ეროვნული კულტურული ცნობიერება საფრთხის წინაშე დგას. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, მაგრამ ამ ფაქტმა სულიერების ამაღლების ნაცვლად მისი დეფიციტი გამოიწვია, შესუსტდა სულიერისადმი, მარადიული ღირებულებებისადმი ინტერესი. გაბატონდა უმართებულო პრაგმატული დამოკიდებულება მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართ, რასაც ერისათვის სავალალო შედეგი სულ მოკლე ხანში შეიძლება მოჰყვეს. გულისტკივილსა და აღშფოთებას იწვევს იმის გააზრება, რომ "ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებელი, ახალი სახელმწიფოებრივი წყობის შემოქმედნი", როგორც თავადვე უწოდებენ საკუთარ თავს, მარად წარმავალი ხელისუფლების წარმომადგენელთა საკმაოდ დიდი კოჰორტა, შემოქმედებითად გაბერწებულნი და უცხო ქვეყნების კანონმდებლობის საქართველოში გადმონერგვით გატაცებულნი გამაოგნებელი ნიჰილიზმით, ცრუინტელექტუალობით ეპყრობიან მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას და პერსპექტივას მოკლებულად მიიჩნევენ. მათ ბრძენი ილიას სიტყვები უნდა შევახსენო: "რა ახლებს, რა სცვლის და - თუ ცხოვრება ჯანმრთელია - რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან... მეცნიერება და ხელოვნება არიან მხოლოდ ის ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდან სინათლეში გამოყვანასა". აქედან გამომდინარე, პრიორიტეტულ დარგებში სხვებთან ერთად, უთუოდ უნდა შევიდეს ჰუმანიტარული მეცნიერებები, ფილოლოგია, საქართველოს ისტორია, ქართული ხელოვნება, ქართული კულტურა. უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ჩვენს გარდა სხვა პარტნიორი არ ეყოლება. ქართული კულტურის, მეცნიერების, მწერლობის განვითარებაზე სხვა არავინ იზრუნებს, ისინი საქართველოს სახელმწიფოს საზრუნავია და მათი დაფინანსებაც სახელმწიფომ უნდა იკისროს.

**ნუგზარ ხულაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
[illegible]
პედაგოგიური უნივერსიტეტის
ქართული ლიტერატურის კათედრის [illegible]
შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
[illegible] განყოფილების [illegible]